

## sCool Card ბარათის მომსახურების ძირითადი პირობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს sCool Card ბარათით (შემდგომში - ბარათი) სარგებლობის პირობებს (შემდგომში - პირობები). ბარათი წარმოადგენს სს საქართველოს ბანკის (შემდგომში - ბანკი) მიერ სპეციალურად მოსწავლეებისათვის - პირი, რომელიც ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად ირიცხება ზოგადსაანამანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - კლიენტი), შემუშავებულ ბარათს, რომლის გამოშვებაც ხდება ბანკის მიერ. ბარათით სარგებლობის საშუალება კლიენტს მიეცემა შესაბამისი განაცხადის (შემდგომში - განაცხადი) შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ, თუმცა კლიენტის მიერ განაცხადის შევსება და ხელმოწერა არ ნიშნავს ბანკის მხრიდან ასეთი მომსახურების უპირობოდ გაწევას. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მიზანშეწონილად ჩათვლის, კლიენტს მისცეს საშუალება ისარგებლოს ბარათით კლიენტი ვალდებულია იხელმძღვანელოს ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად:

### 1. ბარათის ძირითადი პირობები:

1.1. ბარათის ტიპი:	MasterCard Debit, რომელიც აღჭურვილია სატრანსპორტო და საგადახდო უკონტაქტო აპლიკაციით
1.2. საბარათო ანგარიშის ტიპი:	მულტისავალუტო - ლარი, აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი (თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს)
1.3. ბარათის მოქმედების ვადა:	6-დან 14 წლის ჩათვლით კლიენტებისათვის - 4 წელი 14-დან 16 წლის ჩათვლით კლიენტებისათვის - 2 წელი 16 წლიდან ზევით კლიენტებისათვის - 1 წელი
1.4. სატრანსპორტო აპლიკაციის მოქმედების ვადა:	შეესაბამება ბარათის მოქმედების ვადას
1.5. ბარათის ღირებულება:	
1.5.1. პირველადი ბარათის დამზადების, აგრეთვე ბარათის ვადის გასვლისას ახალი ბარათის დამზადების საკომისიო:	უფასო
1.5.2. ბარათის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, აგრეთვე ბარათის ვადის გასვლამდე ნებისმიერი მიზეზით ახალი ბარათის დამზადების საკომისიო:	5 (ხუთი) ლარი შენიშვნა: ახალი ბარათის დამზადების შემთხვევაში, მოხდება ძველი ბარათის გაუქმება
1.6. ბარათზე დაშვებული ოპერაციები:	თანხის განაღდება, სავაჭრო ობიექტებსა და ინტერნეტ მაღაზიებში გადახდა, მგზავრობის საფასურის გადახდა მუნიციპალურ ტრანსპორტში, თანხის ჩარიცხვა, თანხის გადარიცხვა, თანხის შეტანა, კონვერტაცია (თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს).
1.7. საბარათო ანგარიშის მომსახურების საკომისიო:	უფასო
1.8. SMS ბანკისა და ინტერნეტ ბანკის მომსახურების საკომისიო:	უფასო ბარათის ვადის ბოლომდე (მხოლოდ აქტიური ბარათის არსებობის შემთხვევაში)
1.9. ყოველდღიური ხარჯვის ლიმიტი:	
1.9.1. გადახდის ოპერაციებზე (არ შედის სატრანსპორტო აპლიკაციის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციები):	50 (ორმოცდაათი) ლარი*
1.9.2. განაღდების ოპერაციებზე (არ შედის განაღდების საკომისიო):	5 (ხუთი) ლარი
1.9.3. არავტორიზირებულ ოვერდრაფტის თანხაზე	0 (ნული) %

დასარიცხი განაკვეთი	საპროცენტო
------------------------	------------

შენიშვნა: *\*ყოველდღიური ხარჯვის ლიმიტის გაზრდა შესაძლებელია სერვის ცენტრში, ბარათის მფლობელი პირის ორივე შმობლის ან/და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.*

**2. ზოგადი პირობები:**

- 2.1. ბანკი ბარათების დამზადებას უზრუნველყოფს კლიენტის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე და გადასცემს კლიენტის სარგებლობაში, ოპერაციების საწარმოებლად. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.
- 2.2. კლიენტი ბარათის საშუალებით ისარგებლებს მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის გამარტივებული ფორმით, ბარათის უკონტაქტო ჩიპური ტექნოლოგიის – სატრანსპორტო აპლიკაციის გამოყენებით. მგზავრობის საფასურის გადახდა განხორციელდება საბანკო ანგარიშიდან.
- 2.3. ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (მათ შორის მხოლოდ ავტორიზირებული კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება) რიცხულ კლიენტებზე გავრცელდება ქ. თბილისის მერიის მიერ დაწესებული შეღავათები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კლიენტი უფლებამოსილია სატრანსპორტო აპლიკაცია გამოიყენოს სხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტში (მათ შორის სხვა ქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტში) მგზავრობისას, სტანდარტული ტარიფით.
- 2.4. ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (მათ შორის მხოლოდ ავტორიზირებული კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება) რიცხულ კლიენტებზე გავრცელდება ქ. ბათუმის მერიის მიერ დაწესებულ შეღავათები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კლიენტი უფლებამოსილია სატრანსპორტო აპლიკაცია გამოიყენოს სხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტში (მათ შორის სხვა ქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტში) მგზავრობისას, სტანდარტული ტარიფით.
- 2.5. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი აღარ ირიცხება ქ. თბილისის/ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (მათ შორის ავტორიზირებული კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში) ან/და ქ. თბილისის/ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზირებულ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუწყდა ან შეუჭრდა ავტორიზაცია ბანკი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ დაბლოკოს ბარათის სატრანსპორტო აპლიკაცია.
- 2.6. ქ. თბილისის/ქ. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რიცხული კლიენტები სატრანსპორტო აპლიკაციის გამოყენებისას ისარგებლებენ სტანდარტული ტარიფებით.
- 2.7. ბარათის მოთხოვნის შესაბამისი განაცხადით დადგენილი ყოველდღიური ხარჯვის ლიმიტის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ბანკის ნებისმიერ სერვის-ცენტრში ბარათის გააქტიურების შემდეგ.
- 2.8. ბარათის დიზაინი ბარათის მფლობელის ასაკის მიხედვით განსხვავებულია და განისაზღვრება ბანკში დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად.
- 2.9. ბარათთან დაკავშირებული სხვა ზოგადი პირობები მოცემულია საბანკო მომსახურების პირობებში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge). წინამდებარე პირობებში მოცემულსა და ვებ-გვერდზე განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე დოკუმენტში განსაზღვრულ პირობებს.

**3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:**

- 3.1. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ და ცალმხრივად:
  - 3.1.1. განაახლოს ბარათი, წინამდებარე პირობების შესაბამისად, მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების/დამატებების გათვალისწინებით;
  - 3.1.2. შეცვალოს ბარათთან დაკავშირებული გადახდის ვადები;
  - 3.1.3. დაადგინოს/შეცვალოს საბანკო პროდუქტებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკომისიოს ტიპები ან/და მათი განაკვეთების ოდენობები;
  - 3.1.4. შეცვალოს წინამდებარე პირობები.
- 3.2. კლიენტი ვალდებულია:
  - 3.2.1. არ გადასცეს ბარათი მესამე პირს. მესამე პირის მიერ ქ. თბილისის/ქ. ბათუმის მუნიციპალურ ტრანსპორტსა და რიყე-ნარიყალას საზაგირო გზაზე შეღავათიანი ტარიფით მგზავრობისას, განხორციელდება ბარათის სატრანსპორტო აპლიკაციის დაბლოკვა;
  - 3.2.2. წერილობით შეატყობინოს ბანკს განაცხადში დაფიქსირებული რომელიმე რეკვიზიტის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, საცხოვრებელ მისამართს, ტელეფონის ნომერს, მობილურის ნომერს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების და ა.შ.) ცვლილების შესახებ. თუ კლიენტი შეიცვლის განაცხადში მითითებულ რომელიმე საკონტაქტო ინფორმაციას და 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი არ შეატყობინებს ბანკს ახალ რეკვიზიტებს, მასში განაცხადში მითითებულ რეკვიზიტზე ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება კლიენტისათვის უპირობოდ ჩაბარებულად.

**4. sCool ბონუს ქულების დაგროვების პროგრამა:**

- 4.1. ბარათის საშუალებით გადახდისა და განაღდებას ოპერაციების ჩატარებისას (გარდა ბარათით მგზავრობის საფასურის გადახდისა), თითოეულ ოპერაციაზე კლიენტს დაერიცხება sCool ბონუს ქულები, თითო ოპერაციაზე ხუთი sCool-ის ოდენობით.
- 4.2. sCool-ის დაგროვება განხორციელდება, მხოლოდ ქვემოთ მოცემული ოპერაციების შესრულებისას:
  - 4.2.1. POS ტერმინალით გადახდები;

- 4.2.2. ინტერნეტ-გადახდები;
- 4.2.3. ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალით, ავტომატური გადახდების სერვისით ან ბანკომატით კომუნალური გადახდები;
- 4.2.4. ExpressPay-ის თვითმომსახურების ტერმინალით ან ბანკომატით მობილურის ბალანსის შევსება;
- 4.2.5. ბანკის ბანკომატიდან ან ბანკის სერვის ცენტრიდან თანხის განაღდება.
- 4.3. ერთი sCool-ი შესაბამემა ერთ თეთრს.
- 4.4. ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალით შესაძლებელია:
  - 4.4.1. დაგროვებული sCool-ების გადაცვლით მობილური ბალანსის (როგორც პირადი, ასევე მესამე პირის მობილური ბალანსის) შევსება, ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული თანხობრივი მნიშვნელობებით (შესაძლებელია ასევე სმს ბანკით).
  - 4.4.2. დაგროვებული sCool-ების სატრანსპორტო ბალანსში გადაცვლა.

**5. ფასდაკლებები სავაჭრო და მომსახურე ობიექტებში**

- 5.1. ბარათის საშუალებით შესაძლებელი იქნება ბანკის მიერ განსაზღვრულ სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებში ფასდაკლებებით სარგებლობა.
- 5.2. ბანკი საკუთარი ვებ-გვერდის ან/და მის მიერ განსაზღვრული სხვა კომუნიკაციის საშუალებით განახორციელებს იმ სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტების ჩამონათვალის გამოქვეყნებას სადაც ბარათის მფლობელები შეძლებენ ისარგებლონ სხვადასხვა სახის ფასდაკლებებით.
- 5.3. ფასდაკლების მისაღებად ბარათის მფლობელმა შესაბამის სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტში უნდა განაცხადოს, რომ სურს ისარგებლოს ფასდაკლებით და შესაბამისი შეთავაზების ფარგლებში, ფასდაკლების ჩამონათვალში არსებული საქონლის ან/და მომსახურების შეძენა უნდა განახორციელოს ბარათის საშუალებით.

**6. პირობების ძალაში შესვლა და მოქმედება:**

- 6.1. პირობები ძალაში შედის განაცხადის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.